KA070190738571915

# საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი

## ბრძანება

**N03/144**

**05 / მაისი / 2015 წ.**

ქ.თბილისი

### საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ანზორ ერქომაიშვილის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს დამტკიცების შესახებ" საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 20 დეკემბრის N03/229 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2015 წლის 19 მარტის N05/49 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დებულების მე-5 მუხლის მე-11 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ანზორ ერქომაიშვილს, პირადი განცხადების საფუძველზე, ვადაზე ადრე შეუწყდეს უფლებამოსილება და გათავისუფლებულ იქნას საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან.

2. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს დამტკიცების შესახებ" საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 20 დეკემბრის N03/229 ბრძანებაში შეტანილ იქნას ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სამეთვალყურეო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ა) მეუფე იაკობი (ერისკაცობაში - კონსტანტინე იაკობიშვილი);

ბ) ჯემალ ჭკუასელი;

გ) თემურ ქევხიშვილი;

დ) ლევან ვეშაპიძე;

ე) ნინო მახარაძე;

ვ) ფრიდონ სულაბერიძე;

ზ) მაყვალა გონაშვილი;

თ) მალხაზ ერქვანიძე;

ი) ჯიქი (სვიმონ) ჯანგულაშვილი;

კ) რობერტ გოგოლაშვილი."

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7).

მინისტრი

მიხეილ გიორგაძე